

ვიდეოთეკის კატალოგის (SVOD) გამოწერის წესები

1. ვიდეოთეკის კატალოგის (შემდგომში: “კატალოგი”) გამოწერა (“კატალოგში” შემავალი ფილმების პაკეტის გააქტიურება) შეუძლია “სილქნეტის” ყველა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირ აბონენტს/მომხმარებელს, რომელსაც მომსახურება “სილქ ტვ” მიწოდება ADSL ან ოპტიკურ – ბოჭკოვანი ტექნოლოგიით და რომელსაც აქვს “სილქ ტვ”–ს ვიდეოთეკით (VOD) სარგებლობის უფლება;
2. “კატალოგის” გამოწერა (“კატალოგში” შემავალი ფილმების პაკეტის გააქტიურება) შესაძლებელია:
 - 2.1. “სილქ ტვ”–ს მენიუდან, ვიდეოთეკით (VOD) სარგებლობისათვის განკუთვნილი პინ კოდის შეყვანით;
 - 2.2. “სილქნეტის” ქოლ - ცენტრში დარეკვით, კოდური სიტყვის (პაროლის) დასახელებით და წინამდებარე წესებზე დათანხმებით, ან
 - 2.3. “სილქნეტის” სერვის – ცენტრში გამოცხადებით და შესაბამისი განაცხადის შევსებით.
3. “კატალოგის” გამოწერა (“კატალოგში” შემავალი ფილმების პაკეტის გააქტიურება) შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს/მომხმარებელს არ აქვს შეზღუდული/შეჩერებული/შეწყვეტილი “სილქ ტვ”–ს მიწოდება.
4. “კატალოგის” გამოწერა (“კატალოგში” შემავალი ფილმების პაკეტის გააქტიურება) შესაძლებელია ნებისმიერ დროს, წინამდებარე წესებში მითითებული შეზღუდვების გათვალისწინებით.
5. “კატალოგის” გამოწერის შემდგომ, “კატალოგში” შემავალი სასურველი პაკეტი აქტიურდება და ასეთად რჩება მომხმარებლის (აბონენტის) მიერ მის დეაქტივაციამდე, ამასთან, მომხმარებლის მიერ, გააქტიურებული პაკეტის დეაქტივაცია შესაძლებელია მხოლოდ გააქტიურებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლის შემდგომ (მათ შორის – ყოველი ახალი გააქტიურებისას).
6. “მომხმარებელს” შეუძლია შეუზღუდავი რაოდენობით უყუროს გააქტიურებულ პაკეტში შემავალ კონტენტს (ფილმებს) პაკეტის აქტივაციის მთელი

დროის განმავლობაში. ამასთან, პაკეტი „18+“-ში შემავალი კონტენტის (ფილმების) ყურებისას, ყურების ყოველ ჯერზე, საჭიროა 18+ პინ კოდის შეყვანა.

7. მომხმარებლის მიერ „კატალოგში“ შემავალი გააქტიურებული პაკეტის დეაქტივაცია შესაძლებელია:
 - 7.1. „სილქნეტის“ ქოლ ცენტრში დარეკვით და კოდური სიტყვის (პაროლის) დასახელებით, ან
 - 7.2. „სილქნეტის“ სერვის – ცენტრში გამოცხადებით და შესაბამისი განაცხადის შევსებით.
8. „კატალოგში“ შემავალი გააქტიურებული პაკეტის შეჩერება ავტომატურად ხდება „სილქ ტვ“-ს შეჩერების/შეზღუდვის შემთხვევებში.
9. „კატალოგში“ შემავალი სასურველი პაკეტის აქტივაციის ყოველთვიური ღირებულება შეადგენს:
 - პაკეტი „კინომანის“ შემთხვევაში: 5 (ხუთი) ლარს დღე-ს ჩათვლით.
(აღნიშნულ პაკეტში შედის ვიდეოთეკაში განთავსებული ყველა ფილმი, გარდა:
 - პაკეტში „18+“ შემავალი ფილმებისა;
 - ვიდეოთეკაში დამატებული ახალი ფილმებისა (კატეგორია „ახალი“);
 - ვიდეოთეკის მაღალრეიტინგული ფილმებისა (კატეგორია „Top 10“);
 - ქართული ფილმებისა.
10. წინამდებარე პუნქტში აღნიშნული ღირებულების დარიხვა ხდება შესაბამისი მომსახურების სააბონენტო გადასახადის დარიცხვის სქემის შესაბამისად; მომხმარებლის მიერ კატალოგში შემავალი „პაკეტით“ სარგებლობის ყოველთვიური ღირებულების გადახდა, ხდება „სილქ ტვ“-ს მომსახურების გადასახადთან ერთად.